ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 41

"20" თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.009.237) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.009.237) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის №23.2036.2259 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში მდებარე 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.009.237) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით (1 101 030 ლარი) პრივატიზებაზე, ამხანაგობა „შატილიონის"; ზაალ ხერხეულიძის (პ/ნ. 01024057310) და ნატო მურცხვალაძის (პ/ნ. 01026015594) თანასაკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე, №211-213 კორპუსების ჩრდილოეთით, ნუცუბიძის ფერდობი, I მიკრო/რაიონი, კორპუსი №9-ის მიმდებარედ არსებული 3 163 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.01.007.295) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე